დიდი მადლობა,

ბატონო თავმჯდომარე,

პატივცემულო დელეგატებო, ძვირფასო კოლეგებო,

ბატონებო და ქალბატონებო,

ჩემთვის დიდი პატივია დღეს ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური პარტნიორობის, ღია მმართველობის პარტნიორობის მე-5 წლისთავის თქვენთან ერთად აღნიშვნა.

დასაწყისშივე აღვნიშნავ, რამდენად ამაღელვებელი იყო ჩვენი კოლეგების: სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოსმენა, რომლებმაც განიხილეს ღია მმართველობის პარტნიორობის საქმიანობის 5 წელი. მართლაც, პარტნიორობის დაარსებიდან მოყოლებული ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ გამოწვევებთან ბრძოლის კუთხით. ჩვენ ერთად მივაღწიეთ პარტნიორობის წარმატებას.

სიამოვნებით ვსარგებლობ ამ შემთხვევით და მოკლედ აღგიწერთ ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში მიღწეულ ზოგიერთ წარმატებას.

ღია მმართველობის პარტნიორობის ეგიდით ჩვენ წამოვიწყეთ ინფორმაციის თავისუფლების რეფორმა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ღია მონაცემებზე და ეროვნული არქივების ხელმისაწვდომობაზე, მათ შორის თვალთვალის მონაცემებზე საჯარო წვდომის უზრუნველსაყოფად. ჩვენ საფუძვლიანი ცვლილებები შევიტანეთ ჩვენს საჯარო მომსახურებაში, შევქმენით ქონების დეკლარაციების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. ამ ფორუმის დასრულების შემდეგ საქართველოში ჩემი დაბრუნებისთანავე ჩემი კაბინეტი დაამტკიცებს საქართველოს მესამე ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც არის მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესსექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეთა ჯგუფებს შორის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგი.

გარდა ამისა, ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ **ღია მმართველობა - საქართველოს ფორუმს** - დიალოგის პერმანენტულ მექანიზმს, რომელიც ღია მმართველობის

რეფორმების განხორციელების ხელშესაწყობად თავს უყრის მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას.

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველო არის ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესში ხელისუფლების ყველა შტოს ეფექტიანი მონაწილეობის მისაბაძი მაგალითი. ღია მმართველობის ევროპის რეგიონალურ კონფერენციაში, რომელიც შარშან ივნისში ჩატარდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომლებმაც ამ ღონისძიების მონაწილეებს გააცნეს თავიანთი იდეები ღია მმართველობის პარტნიორობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით. თბილისიც, თავისი ადგილობრივი სახელისუფლებლო საპილოტე პროგრამით, ახლახან შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესს.

ასე რომ, საქართველოს წარმატებას განაპირობებს ყველა დონეზე **სახელისუფლებლო ძალისხმევის ერთობლივი შემოქმედებითი პროცესი და ამ ძალისხმევის ინკლუზიური ხასიათი.**

ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის საზოგადოება აღიარებს საქართველოს ძალისხმევას: შარშან, მექსიკაში ჩატარებულ ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტზე საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხელშესაწყობად თავდაუზოგავი შრომისთვის მიიღო **ღია მმართველობის პარტნიორობის გამარჯვებულის ჯილდო.** გარდა ამისა, საქართველო, საფრანგეთთან ერთად, არჩეულ იქნა **პარტნიორობის თანათავმჯდომარედ**. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და მადლობას გიხდით ასეთი დიდი ნდობისთვის ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებაში.

ჩვენ ყველას გვაქვს წარმატების ისტორიები, რომლებიც ასახავს ღია მმართველობის პარტნიორობის მიღწევებს. სულ რამდენიმე მაგალითი: კენიამ მიიღო კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ; პარაგვაი და ურუგვაი მუშაობენ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებაზე; უკრაინაში ხორციელდება საბჭოთა არქივების გასაჯაროება; დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, სამხრეთ აფრიკა, კენია და საფრანგეთი აუმჯობესებენ აქტივების მფლობელთა/მოსარგებლეთა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხს.

მეორე მხრივ, ამ წარმატებებზე გაჩერება დაუშვებელია. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, წამოვაყენოთ ახალი საკითხები, დავადგინოთ ახალი გამოწვევები და დავფიქრდეთ მომდევნო 5 წელზე.

ამისთვის კი საჭიროა, მივუბრუნდეთ დასაწყისს. ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რატომ შეიქმნა ეს პლატფორმა: მისი მიზანია ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, არცთუ ისე ბევრმა ადამიანმა იცის ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ და იცნობს მის საქმიანობას, მიზნებსა თუ ამოცანებს.

ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული სამოქმედო გეგმების ანალიზი ცხადყოფს, რომ წევრი მთავრობების მიერ აღებული ვალდებულებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია თავად მთავრობის ეფექტიანობის გაუმჯობესებასთან, ასევე მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და ბიუჯეტის გამჭვირვალობასთან[1]. იგრძნობა სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, ანუ ის, რასაც ბევრად მეტი გავლენა აქვს ჩვენს მოქალაქეებზე.

ჩამოვთვლი რამდენიმე კითხვას, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ მართლა გვინდა წინსვლა:

- როგორ დავგეგმოთ მომდევნო 5 წელი ისე, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები.
- კონკრეტულად რა სახის ზომების მიღებისთვის ვართ მზად იმისათვის, რომ გავაფართოოთ ჩვენი თვალთახედვა და ღია მონაცემებისა და ღია ბიუჯეტის სფეროებიდან გადავინაცვლოთ სექტორებზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და მომსახურების მიწოდებაზე.
- როგორ შევკრათ უკუკავშირის წრე.

საქართველოში მეორე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულმა საჯარო კონსულტაციებმა კვლავ ცხადყო, რომ საჯარო მომსახურების ხარისხი ბევრად მაღალია, როცა ჩვენს მოქალაქეებთან მჭიდრო კონტაქტი გვაქვს. შესაბამისად, ჩვენ შევიმუშავეთ ახალი პროექტი სახელწოდებით **„მომხმარებლის ხმა“**, რომელიც უზრუნველყოფს პირდაპირ კომუნიკაციას მოქალაქეებთან **იუსტიციის სახლებში** (საჯარო მომსახურების სპეციალური ცენტრები საქართველოში) მიღებულ

მომსახურებასთან დაკავშირებით. ჩვენ დავდეთ პირობა, რომ ყველა მოქალაქეს მივაწვდით ინფორმაციას იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ვგეგმავთ მათი შენიშვნებისა და წინადადებების საპასუხოდ.

ღია მმართველობის პარტნიორობის მიღწევებსა და სტრატეგიულ გეგმებს კარგად აცნობიერებენ ისინი, ვინც იცნობს პარტნიორობის საქმიანობას, მაგრამ ეს ინფორმაცია დღესაც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ამ გამოწვევისთვის საქართველო, როგორც პარტნიორობის თანათავმჯდომარე, მზად არის. ჩვენ გვჯერა, რომ მსოფლიოში ღია მმართველობის პარტნიორობის გზავნილის გავრცელება და მიტანა ადამიანების მაქსიმალურ რაოდენობამდე მომდევნო წლებში უნდა გახდეს ლიდერების პრიორიტეტი. ეს არის ძლიერი ინსტრუმენტი მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ხელში, რომლითაც ისინი თავიანთი ხელისუფლებისგან მოითხოვენ კიდევ უფრო ღია სტრატეგიებს, რომლებიც მათ საჭიროებებს ეხმაურება.

მისასალმებელია ის, რომ უკვე 70 ქვეყანა შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას. მიუხედავად ამისა, ჩვენი პარტნიორობის მე-5 წლისთავზე ჩვენ უნდა გავაორმაგოთ ჩვენი ძალისხმევა და ამბიციები, რათა კიდევ მეტი ქვეყანა ჩაერთოს პარტნიორობაში და ამით გაიზარდოს მისი გავლენა. საქართველო ითანამშრომლებს საფრანგეთთან, რათა ახალ წევრებს განუმარტოს ღია მმართველობის მნიშვნელობა.

ამისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოება მომავალშიც იყოს მთელ მსოფლიოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამოქალაქო სივრცე ბევრ ქვეყანაში დაკნინების გზაზეა. ჩვენ უნდა მოვუწოდოთ მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, თავის თავზე აიღონ და შეასრულონ შესაბამისი ამბიციური ვალდებულებები, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ამისთვის საკმარისი რესურსები. ჩვენი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვალდებულებების აღება ყოველთვის არ არის საკმარისი წარმატებული განხორციელებისათვის.

მომავალი სამიტი. ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარება

ღია მმართველობის პარტნიორობის შემდეგი სამიტი მალე, ამა წლის დეკემბერში, ჩატარდება პარიზში, რომლის ფარგლებშიც მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები მთელი მსოფლიოდან მხარს დაუჭერენ გრძელვადიან ცვლილებებს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ვაქციოთ ღია მმართველობის პარტნიორობის ეს სამიტი ერთმანეთისგან ცოდნის მიღებისა და ახალი დადებითი ცვლილებების

გატარების შესაძლებლობად, რათა ხელი შევუწყოთ ისეთ კონკრეტულ პოლიტიკურ ზომებს, რომლებიც წვლილს შეიტანს ღია მმართველობის დღის წესრიგის განხორციელებასა და ჩვენი საერთო ამბიციების მასშტაბის გაფართოებაში.

ღია მმართველობის პარტნიორობამ გადამწყვეტ ეტაპს მიაღწია. მიმაჩნია, რომ ერთად ჩვენ შევძლებთ კიდევ მეტ წინსვლას.

გმადლობთ!